ა(ა)იპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
სრული, ასოცირებული და ასისტენტ -პროფესორის აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე და 36-ე მუხლის თანახმად, აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით, პროფესორთა ღია კონკურსით შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:
აკადემიური თანამდებობის დაკავება მოხდება ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

დრამის ფაკულტეტი:

სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა კანდიდატი იყოს პრაქტიკოსი დარგში, ჰქონდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ბოლო, არანაკლებ 8 წლის უწყვეტი სტაჟი. სასურველია ჰქონდეს პროფესორის/დოცენტის აკადემიური ხარისხი. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სასწავლო კურსის სილაბუსი (საბაკალავრო და სამაგისტორო დონეზე), სარეჟისორო და სამსახიობო მიმართულებებისთვის სავალდებულოა ორივე დისციპლინის სრული სილაბუსის წარდგენა.
- მუსიკალური თეატრის მსახიობის სპეციალობის ჯგუფის ხელმძღვანელის ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
ა) უნდა შეეძლოს მუსიკალური პარტიტურისა და კლავირის კითხვა;
ბ) ჰქონდეს საოპერო ან მუსიკალურ თეატრში მუშაობის გამოცდილება (არანაკლებ 5 წლის სტაჟი);
გ) სპეციალური მუსიკალური განათლება.

ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს – სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ბოლო, არანაკლებ 4 წლის უწყვეტი სტაჟი. უნდა წარმოადგინოს სასწავლო კურსის სილაბუსი (საბაკალავრო დონეზე).

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია სრული პროფესორის რეკომენდაცია–დახასიათება.

ძირითადი მოთხოვნები:

- მიღებული სპეციალური განათლება;
- კანდიდატის პროფესიული და პედაგოგიური მიღწევები: დადგმული სპექტაკლები, შესრულებული როლები, განხორციელებული კონცერტები, ანსამბლის ხელმძღვანელობა, გამოშვებული ჯგუფები;
- სასურველია უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ცოდნა B 2 დონეზე;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Word; Internet);

კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
2. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;
3. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
4. მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები (CV) და შემოქმედებითი წარმატებების ნუსხა;
5. ერთი ფოტოსურათი (3 X 4);
6. კურიკულუმი;
7. დისციპლინის სწავლების სტრუქტურის მოკლე აღწერა - სილაბუსი/სილაბუსები **(სილაბუსში მითითებული უნდა იყოს:** საგნის სახელწოდება, სწავლების მიზანი, კურსის მოცულობა, მეთოდი, კრედიტების მინიჭების პირობა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, საგნის გეგმა თითოეულ ლექციაზე წასაკითხი მასალების მითითებით**);**
8. ასევე, აქტივობის (შემოქმედებითი, სამეცნიერო-პედაგოგიური და ა.შ.) დამადასტურებელი სხვა მასალა;
9. მიღებული განათლება, აკადემიური ხარისხი (არსებობის შემთხვევაში);
10. პროფილის შესაბამისად გამოცემული წიგნები (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.);

11. საქართველოს ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

12. დადგმული სპექტაკლები, შესრულებული როლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

13. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

14. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა შესაბამისი პროგრამის მითითებით;

დამატებითი მოთხოვნები:

- პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული პრემია, გრანტი, სტიპენდია;
- მოწაფეების მიღწევები.

კინო-ტელე ფაკულტეტი:

სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა კანდიდატი იყოს პრაქტიკოსი დარგში, ჰქონდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ბოლო, არანაკლებ 8 წლის უწყვეტი სტაჟი. სასურველია ჰქონდეს პროფესორის/დოცენტის აკადემიური ხარისხი. მხატვრული, ანიმაციური, დოკუმენტური კინოსა და ტელერეჟისორის, კინო-ტელე ოპერატორისა და მედიაკომუნიკატორის მიმართულებით, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სასწავლო კურსის სილაბუსი (საბაკალავრო და სამაგისტორო დონეზე).

ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი სავალდებულოა იყოს პრაქტიკოსი დარგში, ჰქონდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ბოლო, არანაკლებ 4 წლის უწყვეტი სტაჟი. უნდა წარმოადგინოს სასწავლო კურსის სილაბუსი.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია სრული პროფესორის რეკომენდაცია-დახასიათება.

ძირითადი მოთხოვნები:

- მიღებული სპეციალური განათლება;

- პროფესიული და პედაგოგიური მიღწევები: გადაღებული კინო და ტელე ფილმები, გამოშვებული ჯგუფები;

- სასურველია უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ცოდნა B 2 დონეზე;

- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

2. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;

3. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არსებობის შემთხვევაში);

4. მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები (CV) და შემოქმედებითი წარმატებების ნუსხა.

5. ერთი ფოტოსურათი (3 X 4);

6. კურიკულუმი;

7. დისციპლინის სწავლების სტრუქტურის მოკლე აღწერა - სილაბუსი/სილაბუსები **(სილაბუსში მითითებული უნდა იყოს:** საგნის სახელწოდება, სწავლების მიზანი, კურსის მოცულობა, მეთოდი, კრედიტების მინიჭების პირობა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, საგნის გეგმა თითოეულ ლექციაზე წასაკითხი მასალების მითითებით**)**;

8. ასევე, მისი აქტივობის (შემოქმედებითი, სამეცნიერო-პედაგოგიური და ა.შ.) დამადასტურებელი სხვა მასალა;

9. მიღებული განათლება, აკადემიური ხარისხი (არსებობის შემთხვევაში);

10. პროფილის შესაბამისად გამოცემული წიგნები

(სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.);

11. საქართველოს ანდა უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა;

12. გადაღებული კინო და ტელე ფილმები, გამოშვებული ჯგუფები;

13. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

14. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა შესაბამისი პროგრამის მითითებით; (Word; Internet, Premier, Final cut);

დამატებითი მოთხოვნები:

1. პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული პრემია, გრანტი, სტიპენდია;

2. მოწაფეების მიღწევები;

ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სპეციალობებისათვის:

1. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია:

დოქტორის აკადემიური ხარისხი, დისციპლინის სწავლების კონცეფციის წარმოდგენა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე.

სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ბოლო, არანაკლებ 6 წლის უწყვეტი სტაჟი;

აგრეთვე, მსოფლიო თეატრისა და კინოს ისტორიის მიმართულებით, სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატს მოეთხოვება (საერთაშორისო) უცხო ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა და ამ ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი დიპლომის ან სერთიფიკატის ასლი, ან სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი პროფილის ორგანიზაციის მიერ გაცემული, ენის ცოდნის დამადასტურებელი, სხვა დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია:

დოქტორის აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო- პედაგოგიური მუშაობის ბოლო, არანაკლებ 3 წლის უწყვეტი სტაჟი; დარგის სწავლების კონცეფციისა და სილაბუსების წარმოდგენა საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე;

აგრეთვე, მსოფლიო თეატრისა და კინოს ისტორიის მიმართულებით, ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება (საერთაშორისო) უცხო ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა და ამ ცოდნის დამადასტურებელი დიპლომის ან სერთიფიკატის ასლი, ან სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი პროფილის ორგანიზაციის მიერ გაცემული, ენის ცოდნის დამადასტურებელი, სხვა დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

3. **ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის** დასაკავებლად აუცილებელია სრული პროფესორის რეკომენდაცია. კანდიდატი უნდა იყოს დოქტორის ხარისხის მფლობელი ან დოქტორანტი.

ძირითადი მოთხოვნები:

1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
2. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;
3. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები (CV) და შემოქმედებითი წარმატებების ნუსხა;
5. ერთი ფოტოსურათი (3 X 4);
6. კურიკულუმი;
7. დისციპლინის სწავლების სტრუქტურის მოკლე აღწერა - სილაბუსი/სილაბუსები **(სილაბუსში მითითებული უნდა იყოს:** საგნის სახელწოდება, სწავლების მიზანი, კურსის მოცულობა, მეთოდი, კრედიტების მინიჭების პირობა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, საგნის გეგმა თითოეულ ლექციაზე წასაკითხი მასალების მითითებით**);**
8. ასევე, აქტივობის (შემოქმედებითი, სამეცნიერო-პედაგოგიური და ა.შ.) დამადასტურებელი სხვა მასალა;
9. მიღებული განათლება, აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
10. პროფილის შესაბამისად გამოცემული წიგნები (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.);
11. პროფილის შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო შინაარსის შრომები;
12. საქართველოს ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
13. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
14. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

დამატებითი მოთხოვნები:

- პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული პრემია, გრანტი, სტიპენდია.

კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით.

საკონკურსო კომისიას იწვევს რექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ორი მესამედი.

საკონკურსო კომისია შედეგებს წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით – ღია კენჭისყრით.

საკონკურსო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს საკონკურსო პირობების ძირითადი და დამატებითი მოთხოვნებით.

საკონკურსო კომისია კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას აფასებს **10ქულიანი** სისტემით, „ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების“ თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და ქულათა ჯამით გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულს.

საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსანტის არჩევის შესახებ.

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება, აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

სააპელაციო კომისიას იწვევს რექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

სააპელაციო კომისია განისაზღვრება 3 წევრით.

სააპელაციო კომისია უფლებამოსილია,თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

სააპელაციო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას ამტკიცებს წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით - ღია კენჭისყრით.

კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6.

კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა:

კანდიდატი, რომელსაც უკავია აკადემიური თანამდებობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სრული პროფესორის თანამდებობაზე გასვლის შემთხვევაში, კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, ვალდებულია არსებული სამსახურიდან გათავისუფლდეს; ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავებისას, პირს, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის უფლება აქვს, მხოლოდ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობით.

კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საჯაროდ, **უნივერსიტეტის ვებგვერდზე**.